



სსრ განათლების სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებები  
და  
ინსტრუქციები  
პრეზული

თბილისი  
1982

№ 5  
აპრილ  
МАЙ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

СБОРНИК  
ПРИКАЗОВ  
И  
ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ  
1982

რედაქტორი გ. ჭურციკიძე  
ტექნიკური დეპუტატი ა. ბაკურაძე  
კორექტორი ლ. ლომიძე

გადაეცა ასაწყობად 18/V-82 წ.; ხელმოწერილია დასაბუკრად 7/VII-82 წ.;  
ანაწყობის ზომა  $6\frac{1}{4} \times 9\frac{1}{4}$ ; ქაღალდის ზომა  $60 \times 84$ ; ნახევრი თაბახი 6;  
საღრმადულო-საგამომცემლო თაბახი 5,25

შეკვ. № 336

ფ. 05618

ტირაჟი 6000

შ ფ ა ს თ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
 1982 წლის 5 თებერვლის 2 რ კ ა ნ ე პ ა № 115

ქ. გორის, გორისა და გარდაბნის რაიონების განათლების  
 განყოფილებებისა და მოზრდილთა სკოლებში მომუშავე  
 ახალგაზრდების სწავლების თაობაზე ზემდგომი  
 ორგანოების დადგენილებებისა და პრძანებების  
 შესრულების მდგომარეობის შესახებ

ასრულებენ რა ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებს, რეს-  
 პუბლიკის სახალხო განათლების ორგანოები, საღამოსა და ღაუსწრებელი  
 სკოლები გარკვეულ წარმატებებს აღწევენ მომუშავე ახალგაზრდების  
 სწავლების საქმეში. ამის საილუსტრაციო შეიძლება მოვიყენოთ გო-  
 რის რაიონის მაგალითი, სადაც სწორად არის დაყენებული სადირექტ-  
 ტიო ინიციატივის დადგენილებებისა და ბრძანებების შესრულების  
 ორგანიზაცია და შექმნილია ახალგაზრდების საშუალო განათლების გან-  
 ხორციელებისათვის საყოველთავ ზრუნვის ატმოსფერო. ბოლო 6 წლის  
 მანძილზე რაიონში ფართოდ გაიშალა სასწავლო-საკონსულტაციო პუნ-  
 ქტებისა და ჯგუფების ქსელი, გაუმჯობესდა სასწავლო-აღმზრდელობი-  
 თი პროცესი. მოსწავლეთა რიცხვი 353-დან 1283-მდე გაიზარდა, ყო-  
 ველწლიურად რაიონულ საშუალო სკოლას 300 ახალგაზრდა ამთავრებს.

მაგრამ ყველგან როდი იძრძევით შემდგომი ორგანოების დადგენი-  
 ლებათა შესასრულებლად. ქ. გორის განათლების განყოფილებას (გამექ-  
 ამხ. 6. კახნიაშვილი) არსებითად არ გაუმდია მუშაობა სკოლი 26-ე ყრი-  
 ლობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად — საღამოსა და ღაუსწრებელი  
 სწავლების განვითარებისა და სტულაფისათვის. ასევე სათანადო დო-  
 ნისძიებები არ გაუტარებია მომუშავე ახალგაზრდების სწავლების თაო-  
 ბაზე საქართველოს კპ ცკ-ის 1976 წლის 6 აპრილის დადგენილებიდან  
 გამომდინარე საქართველოს სსრ განათლების მინისტრის იმავე წლის  
 10 მაისის ბრძანების შესასრულებლად. მსგავსი მდგომარეობა გარდაპ-  
 ნის რაიონშიც. მართალია, ამ რაიონში საგრძნობლად გაიზარდა მოს-  
 წავლეთა კონტინენტი, მაგრამ მათ სწავლებაში ბევრი სარვეზებია.

განათლების ორივე განყოფილება უყურადლებოდ მოეკიდა სსრ კავ-  
 შირის განათლების სამინისტროს კოლეგის 1980 წლის 25 ივნისის  
 № 23/3 გადაწყვეტილებას, რომელიც ლიტვის სს რესპუბლიკაში მომუ-  
 შავე ახალგაზრდების სწავლების ორგანიზაციის საქმეში პარტიული და/  
 საბჭოთა ორგანოების მუშაობის ამოცილებას შეეხება. აღნიშნული

3

ქ. გორის სსრ სამინისტრო  
 სსრ საგრძნობლად  
 6. აპრილი

გადაწყვეტილება ითარგმნა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში და დაეფიცენა განათლების ადგილობრივ ორგანოებს, შესრულებული ეცნობთ იგი პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტებისაშეც და სათანადო ღონისძიებებიც გაეტარებინათ, მაგრამ განყოფილებებს ეს მითითება არ შეუსრულებიათ.

ორგანიზებული არ არის, აგრეთვე, მომუშავე ახალგაზრდების სწავლების თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და დარგობრივი სამინისტროების ერთობლივი ბრძანებების შესრულება.

ასანიშნავია, რომ ზოგ შემთხვევაში მოუწესრიგებელია ზერდომის ორგანიზებიდან მიღებული დოკუმენტების რევისტრაცია და შესრულების კონტროლი.

ყოველივე ამის შედეგია, რომ როგორც ქ. გორში, ისე გარდაბნის რაიონშიც განათლების ორგანოები მინიმალურადაც ვერ იყენებენ ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებას, არ აყენებენ საკითხებს მათ წინაშე. კონტაქტებს არ აყიდებენ სამეცნიერო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. სწორედ ამიტომ არ არის შექმნილი ზრუნვის ატმოსფერო მოზრდილთა სწავლებისადმი და მოზრდილთა სკოლების საქმიანობა ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. მოსწავლეთა უმეტესი ნაწილი სისტემატურად აცდებს მეცალინებებს, ხშირია სკოლებიდან მათი გასკლის შემთხვევები. ქ. გორის მე-2 საშუალო სკოლიდან მიმდინარე სასწავლო წლის პირველ ნახევარში 19 მოსწავლე გავიდა. დაბალ დონეზე დგას სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი, მიუხედავად სათანადო ბაზის არსებობისა, ქ. გორში წლიდან წლამდე მცირდება მოსწავლეთა კონტიგუნტი; 1976—1977 სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა რიცხვი 501-დან 267-მდე შემცირდა. მოუწესრიგებელია სწავლებაში ჩასაბმელი ახალგაზრდების აღრიცხვა. მოზრდილთა სკოლების დიდ ნაწილს არ აქვთ შექმნილი სათანადო პირობების სწავლა-აღმზრდისათვის, ზამთარში გათბობას მოკლებული არიან ქ. გორის საღამოს მე-2, გარდაბნის რაიონის სოფლების: მუღანოლოს, ნორიოს, მარტყოფისა და სხვა სკოლები. გორის მე-4 მასობრივი სკოლის დირექტორი ამხ. ვ. მშექალაშვილი არ ასრულებდა არამარტო განათლების სამინისტროს 1975 წლის 4 დეკემბრის № 968 ბრძანებას, არა—მედ არც სასწავლო კაბინეტების, თვალსაჩინოებისა და სამასწავლებლო ოთახის გამოყენების უფლებას აძლევდა იმავე შენობაში მომუშავე მოზრდილთა სკოლას. გარდაბნის რაიონის სოფლების: სართიშვალის, აქთაკალისა დ ნორიოს სკოლებში დაწყებითი კლასების მოსწავლეთა მერების უსწდნენ საღამოს სკოლების IX—XI კლასების მოსწავლები.

განათლების განყოფილებები არ ზრუნავენ მოზრდილთა სკოლების დირექტორებად შესაფერისი კადრების შერჩევისათვის, მათი ავტორიტეტის ამაღლებისათვის. არ უწევენ საჭირო დახმარებას და კონტროლს საღამოს სკოლებს, არ აანალიზებენ მათ საქმიანობას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით თვითინებაზე მიშვებული მათი მუშაობა ქ. გორ-

ში. მიუხედავად იმისა, რომ საღამოს 1-ლ საშუალო სკოლაში 1981-82 სასწავლო წლის დასაწყისიდან ახალი დირექტორი მუშაობს, ხოლო მე-2 საშუალო სკოლის საქმიანობა ძალიან დიდი ხარვეზებია, ქ. გორის განათლების განყოფილებას მიმდინარე სასწავლო წელს არ შეუმოწმებია საღამოს საშუალო სკოლები და არავითარი დამარტება არ გაუწევია მათვის. განათლების განყოფილება არ ფიქრობს სწავლების ახალი ფორმებისა და რეჟიმის დანერვებისათვის, მაშინ როდესაც დღეს ამ მი-მართებით განსაკუთრებით არის ყურადღება გამახვილებული.

როგორც ქ. გორის, ისე გარდანის რაიონის მოზრდილთა სკოლების მუშაობა არაერთხელ შეამოწმა განათლების სამინისტრომ და დასა-ხა სათანადო ღონისძიებანი მათვის ადგილებზე დაწმარების გასაწევ-ვად. განათლების სამინისტროს ბრძანებებში ყოველწლიურად არის აღ-ნიშნული როგორც რესპუბლიკის ცალკეული, ასევე დასახლებული ქა-ლაქისა და რაიონის არსებულ საღამოს და დაუსწრებელ სკოლებში არა-დამაკმაყოფილებული სასწავლო წლის შედეგების შესახებ.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს მუშაკებმა, რომლებმაც გასული სასწავლო წლის მეორე სემესტრში შეამოწმეს ქ. გორის საღა-მოს მე-2 საშუალო სკოლა, უარყოფითი შეფასება მისცეს მის საქმიანო-ბას. მას შემდეგ მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, განსაკუთრებით არადამატებული მოსწავლეთა მეცადინეობებზე დასწრება, რაც ფორმალიზმს წარმოშობს. შემოაღწინებულიდან გამომდინარე განათლე-ბის განყოფილებამ არ გამოიტანა სათანადო დასკვნები და არ გარდა-ქმნა მუშაობა.

### ვ ბ რ ძ ა ნ გ ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების განათლების სამი-ნისტროების, სამხრეთ ოკეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქა-ლაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებების, ქ. თბილი-სის სახალხო განათლების სამართველოს ყურადღება მიექცეს იმას; რომ შემდგომი ორგანოების დადგენილებების და ბრძანებების შესრუ-ლებას განსაკუთრებული მინიშვნელობა ენიჭება მუშაობაში; გადახედომ განათლების თვითონა განყოფილებაში ამ დარგში არსებულ მდგომა-რეობას და მიიღონ ზომები მის გასაუმჯობესებლად.

2. მოზრდილთა სკოლებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების მიზნით წინადადებით შევიდნენ ადგილობრივ პარტიულ ორგანოებში ლიტივის სს რესპუბლიკაში მომუშავე ახალგაზრდების სწავლების საქმე-ში პარტიული ორგანოების მუშაობის გამოცდილების შესახებ, გააცნონ მათ ამ საკითხეზე სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 25 ივლისის № 23/3 გადაწყვეტილება და მიაღწიონ სა-თანადო ღონისძიებების გატარებას.

3. მხედველობაში იქნა მიღებული ქ. გორის განათლების განყო-ფილების გამგის ამს. 6. კახნიაშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ

იგი გარდაქმნის ხელმძღვანელობას-საღამოს სკოლებისადმი ფართვები რად მის მიმართ სასჯელის ზომა არ გატარებულა.

4. ცნობად იქნას მიღებული, რომ ქ. გორის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორის ამს. ა. ლომისაძეს, რომელსაც დაგალებული ქონდა საღამოს სკოლებისადმი ხელმძღვანელობა, ჩამოერთვა ეს ფუნქცია და საღამოს სკოლებისადმი არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობისა და დახმარებისათვის გამოცხადა სასტიკი საყველური.

5. გათვალისწინებულ იქნას ამს. 6. კანიაშვილის, აგრეთვე, გორის საღამოს მე-2 საშუალო სკოლის დირექტორის ამს. გ. გიორგაძის განცხადება იმის შესახებ, რომ ამ სკოლაში გარდაქმნიან მუშაობას და ამ პირობით გ. გიორგაძე დატოვებული იქნას თანამდებობაზე არადამაკმაყოფილებელი მუშაობისათვის სასტიკი საყველურის გამოცხადებით.

6. განათლების სამინისტროს საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (ამს. გ. გუჯვარიანი) ა. წ. სექტემბერ-ოქტომბერში შეამოწმოს ქ. გორის საღამოს მე-2 საშუალო სკოლის მუშაობა.

7. ცნობად იქნას მიღებული ამს. 6. კანიაშვილის ინფორმაცია, რომ ქ. გორის მე-4 მასობრივი სკოლის დირექტორმა ამს. ვ. მზექალაშვილმა შემოწმების შემდეგ საღამოს საშუალო სკოლას შეუქმნა მუშაობისა-თვის საჭირო პირობები. მყაფრად გაფრითხილდეს ამს. ვ. მზექალაშვილი, რომ მომავალში განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და მითითებების შეუსრულებლობისათვის მყაფრად იქნება დასჯილი.

8. ცნობად იქნას მიღებული, რომ გარდაბნის რაიონის განათლების განყოფილებამ ა. წ. იანვარში განიხილა საკითხი საღამოს სკოლების მუშაობის შესახებ და დასახა საჭირო ღონისძიებანი. სამუშაოდან გაართავისუფლა რუისბოლოს საღამოს საშუალო სკოლის დირექტორი და გართაკლის სკოლის მეთოდისტი. სასჯელის ზომები გაატარა ზოგიერთი სკოლის დირექტორების მიერათ.

9. ეს ბრძანება გაეგზავნოს საქართველოს კპ გორის საქალაქო კო-მიტეტს და ეთნოგრაფიულ დაავალოს ქალაქის პარტიის, სამუშაონეო, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს გააქტიურონ მუშაობა მომუშავე ახალგაზრდების ზოგადი განათლების ცონის ამაღლებისათვის, რაც დასახულია სკპ 26-ე ყრილობის დირექტივებით.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლე-გის 1982 წლის 4 ოქტომბერის გადაწყვეტილება.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
1982 წლის 17 თებერვლის ბრძანება № 146

იმ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სიის  
დამტკიცების შესახებ, რომლებშიც უფროსი კლასების  
მოსწავლეები ეუფლებიან ავტომობილის მძღოლის პროფესიას

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 9 ნოემბრის № 672 დადგენილების „მოსწავლეთა შრომითი სწავლების გასაუმჯობესებლად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ“ დანართის შესაბამისად, 1981—1982 სასწავლო წლიდან ავტომობილის მძღოლების მომზადება შემოღებულია 40. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში.

საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელ (IX-X) მოსწავლეთათვის ავტოსაქმის დაუფლებაში ხელის შეწყობის მიზნით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 9 ნოემბრის № 672 დადგენილების შესასრულებლად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების უფროსკლასელ (IX-X) მოსწავლეთაგან ავტომობილის მძღოლების მოსამზადებლად დამტკიცდეს:

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ქ. ქ. სოხუმის მე-10, გუდაუთის მე-3, ოჩამჩირის მე-3, სოხუმის რაიონის შრომის, აჭარის ასს რესპუბლიკის შუახევის რაიონის შუახევის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცხინვალის რაიონის ქურთის, ქ. თბილისის მე-3, 69-ე, 163-ე, 166-ე, ქ. ქუთაისის მე-20, ქ. რუსთავის მე-7, ქ. გორის მე-6, აბაშის რაიონის აბაშის 1-ლი, ახალქალაქის რაიონის ახალქალაქის მე-2, ახალქალაქის მე-3, ახალციხის რაიონის ახალციხის 1-ლი, გარდაბნის რაიონის კოჭორის სკოლა-ინტერნატი, მარტყოფის მე-2 და გორის რაიონის ატენის სკოლა-ინტერნატები, ღმანისის რუსული, დუშეთის მე-2, ყვარლის მე-3, ლაგოდების 1-ლი, ლამბისხეთის 1-ლი, ლენტების რაიონის სასამის, მარნეულის აზერბაიჯანული, მაიაკოვსკის რაიონის მაიაკოვსკის სახელობის, ონის 1-ლი, საგარევოს მე-4, სამტრედიის რუსული, საჩხერის მე-2, სიღნაღის რაიონის ქვემო მაჩხანის, თელავის მე-8, წითელწყაროს 1-ლი, წულუკიძის 1-ლი, ცხაკაიას მე-6, ჩოხატაურის რაიონის ქვენა-ბნის საშუალო სკოლები.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასარ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ისეუთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ უზრუნველყონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტონომური მინისტრის 1974 წლის 24 თებერვალს დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად სკოლებში ავტოსაქმის სწავლების შემოღება და ყოველწლიურად სასწავლო ჯგუფების რეგისტრაციაში გატარება.

3. სკოლების სამმართველომ (ამხ. ქ. სუვაშვილი) განახორციელოს კონტროლი და ხელმძღვანელობა ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება.

მინისტრი

ო. ქიძელაძე

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ  
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი  
ო. მინისტრი ი ს რ ი ც ე ბ ი ა მ ი 1982 წლის 18 ოქტომბერის დღეს

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
სკოლების სამართველოს რასაუგისა  
მთოლელი ცენტრის**

**დ ე პ უ ლ ე ბ ი**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს რესპუბლიკური მეთოდური ცენტრი არის წამყვანი სასკოლო პროგრამულ-მეთოდური დაწესებულება, რომელიც ექვემდებარება სამინისტროს სკოლების სამმართველოს და მუშაობს მის მიერ დამტკიცებული წლიური და პერსპექტიული გეგმების შესაბამისად.

მეთოდური ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით სახალხო განათლების შესახებ, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებებით, მითითებებითა და ამ დებულებით.

**I. ძირითადი ამოცანები**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს რესპუბლიკური მეთოდური ცენტრის ძირითადი ამოცანებია:

1. 1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო გეგმების პროექტების მომზადება. ი. გოგობაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტისა და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან ერთად უნიფიცირებული და ორიგინალური სასწავლო პროგრამების დამუშავება, სრულყოფა, თარგმნა.

1. 2. სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ორგანიზაციისა და ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების საკითხებზე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროების სახელმძღვანელო დოკუმენტების, რესპუბლიკის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და მასწავლებელთა დასელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის, აგრეთვე ცალკეულ ავტორთა (ავტორთა კოლექტივების) მიერ შექმნილი და მოწონებული მეთოდური ლიტერატურისა და სხვა დამხმარე მასალების აღგილობრივი განათლების განყოფილებებისა და მათი მეთოდური კაბინეტების მეშვეობით სასკოლო პრაქტიკაში დაწერვა.

1. 3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფისა და სწავლების ხარისხის ამაღლების თაობაზე სახალხო განათლების აღვილობრივი ორგანოების მიერ განათ-

ლების სამინისტროს პრძანებათა და მითოთებათა შესრულების მდგომარეობის შესწავლა და საჭირო მეთოდური დახმარების გაწევა.

1. 4. მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების გამოვლენა, შესწავლა, განზოგადება და მისი სასკოლო მუშაობაში დანერგვა.

1. 5. ცალკეულ სასწავლო ლისციპლინებში მეთოდური, ღიღაქტიკური, თვალსაჩინო, კინო, ფონო და დიამასალების კომპლექსების მომზადება, სწავლებაში მათი გამოყენების ხერხებისა და მეთოდების შემუშავება. სწავლების ტექნიკური საშუალებებისა და ღიღაქტიკურ-საინფორმაციო მასალების სასწავლო პროცესში გამოყენების მეთოდი-კათა კომპლექსის შემუშავება, მათი სკოლებამდე დაყვანა.

1. 6. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კლევით ინსტიტუტთან, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან და სასწავლო კინოსა და ტელეგადაცემათა რესპუბლიკურ მეთოდურ კაბინეტთან ერთად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის სწავლების ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების თაო-ბაზე მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება, სასწავლო პროცესში ამ რეკომენდაციებისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენების მდგომარეობის შესწავლა და სათანადო მეთოდური დახმარების გაწევა.

1. 7. თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, კონომიკისა და ჰიგიენის მოთხოვნათა გათვალისწინებით სწავლების კაბინეტური სისტემისა და ცალკეულ საგნებში სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიების მოწყობის საერთო პრინციპების შემუშავება, ამ საქმეში მოწინავე გამოცდილების შესწავლა, განზოგადება და დანერგვა.

1. 8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასწავლო კი-ნოსა და ტელეგადაცემათა რესპუბლიკურ მეთოდგაბინეტთან ერთად სას-წავლო კინოფილმების შექმნის, ტელეგადაცემათა მომზადების, მათი განხილვისა და შემდგომი სრულყოფის საქმეში სათანადო მონაწილეობის მიღება.

1. 9. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კლევით ინსტიტუტსა და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან ერთად სკოლათმცოდნეობისა და სასკოლო მუშაობის მართვის, განათლების განყოფილებებსა და სკოლებში შრო-მის მეცნიერული ორგანიზაციის საკითხებზე სათანადო რეკომენდაციე-ბის, მეთოდური და საინფორმაციო-საცნობარო მასალების შემუშავება, გამოცემა, ადგილებამდე დაყვანა და მათი პრაქტიკაში გამოყენებისათვის საჭირო დახმარების გაწევა.

1. 10. რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფორიენტაციული მუშაობის სრულყოფის, I X — X კლასებში გაღრმავებული შრომითი სწავლების ორგანიზაციის სასკოლათამორისო სასწავლო-საწარმოო კომინისტებისა და სასწავლო საამქროების შექმნისა და მათი საქმიანობის სრულყოფის მიზნით სა-

ხალხო განათლების ადგილობრივი თრგანოებისათვის მეთოდური / ას თრგანიზაციული დახმარების გაწევა, სკოლებისა და განათლების განყოფილებათა მიერ ამ მიმართებით ჩატარებული დადგებითი მუშაობის განვითარება და გავრცელება.

1. 11. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტისა და მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან ერთად რიგი საგნების გაღრმავებული სწავლების სკოლებისათვის სასწავლო გეგმების დამუშავება.

გაღრმავებული სწავლებისა და ფაკულტატიურ მეცანიერებათა უნიფიციერებულ და ორიგინალური სასწავლო პროგრამების, მეთოდური და დამხმარე ლიტერატურის თარგმანა, შექმნა და სოულყოფა.

1. 12. ჩესპერბლიკის ქალაქებისა და რაიონებში წვევამდელი ახალგაზრდების ჩუსული ენის შემსწავლელი ჯგუფების, წრებისა და ფაკულტატივების მუშაობის თრგანიზაცია, კონტროლი და მეთოდური ზედამხედველობა.

1. 13. გახანგრძლივებული დღის სკოლების, ჯგუფებისა და სასკოლო ინტერნატების მუშაობის ორგანიზაცია.

1. 14. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ჯვების ორგანიზაციის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე სისტემატურად ზრუნვა, სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების ქსელის გაფართოება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის საჭირო ღონისძიებებისათვის განხერციელება.

1. 15. მასწავლებელთა საქალაქო (სარაიონო) აგვისტოსა და იანვრის კონფერენციებისა და მასწავლებელთა სექციური მუშაობისათვის საინსტრუქციო-მეთოდური მითითებების შემუშავება, კონფერენციების მუშაორის შედეგების შეჯამება და სათანადო ინწოდმაციის მომზადება.

## II. მუშაობის შინაარსი და ფორმები

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ჩესპერბლიკური მეთოდური ცენტრის განყოფილებები, მეთოდური ცენტრის წინაშე დასახული ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე:

2. 1. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან, ი. ჭოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა და დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან მშენდო კავშირში, ჩესპერბლიკის უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების შესაბამის კათედრებთან, პროფესიის განათლების სახელმწიფო კომიტეტის მეთოდკაბინეტთან და ჩესპერბლიკის სხვა სათანადო სასწავლო-სამეცნიერო ორგანიზაციებთან ურთიერთგაშირში სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს ეხმარებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისადმი საერთო ხელმძღვანელობის, სასწავლო-აღმზრელობითი პროცესის სრულყოფისა და სწავლების ხარისხის ამაღლების

თაობაზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა /უ  
მითითებათა შესრულების, პედაგოგიური კოლექტივების წევრთა იდეული/  
პროტიფური და პედაგოგიური ცოდნის გაღრმავების, მოწავლე ახალ-  
გაზრდობის სწავლებისა და აღჭრდის პრობლემებისადმი მეთოდების  
თანი, კომპლექსური მიღვომის, მოწინავე, პროგრესული მეთოდების  
განზოგადებისა და პრაქტიკაში შემოქმედებითად დანერგვის საქმეში.

შეიმუშავებენ მეთოდურ რეკომენდაციებს სასკოლო საქმიანობის  
აქტიურულ საკითხებზე. ადგენენ მოხსენებებს, ლექციებს, რეფერატებს.  
გამოსაცემად ამზადებენ დამხმარე ლიტერატურას, კრებულებს, ბროშუ-  
რებს, ნარკევებს, საუზრუნველო სტატიებს.

შეისწავლიან და განაზოგადებენ ცალკეული საგნების მასწავლებ-  
ლების, სკოლების ხელმძღვანელების, მეთოდური კბილებებისა და გა-  
ნათლების განყოფილებების, მოძმე რესპუბლიკების მეთოდური მუშაო-  
ბის დადებით გამოცდილებას;

2. 2. მონაწილეობები მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური  
ინსტიტუტის, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა  
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების  
ექსპერიმენტულ მუშაობაში, რესპუბლიკური სამეცნიერო-პედაგოგიური  
კონფერენციების, პედაგოგიური კითხვების, განათლების სამინისტროს  
კოლეგიებში, სკოლების სამართველოსა და სამინისტროსთან არსებუ-  
ლი საზოგადოებრივი სასწავლო-მეთოდური საბჭოს სხდომებში განსა-  
ხილველი საკითხების მომზადებაში, საპროექტოს სხდომების ჩატარების  
საორგანიზაციო საკითხებსა და საერთო საქმიანობაში;

2. 3. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა სა-  
მეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და მასწავლებელთა დახელოვნების  
ცენტრალური ინსტიტუტთან ერთად შეიმუშავებენ საჭირო საინფორმა-  
ციონ-საცნობარო მასალებს, მეთოდურ რეკომენდაციებსა და მითითე-  
ბებს სასკოლო მუშაობის დაგეგმვის, შინასასკოლო კონტროლის გან-  
ხორციელების, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის, სწავლების კაბი-  
ნეტური სისტემისა და ფაკულტატიური მეცადინეობების ორგანიზაციის,  
სასწავლო-პედაგოგიური ღოკემენტაციის წარმოების, სკოლათმოცულე-  
ობისა და სასკოლო მუშაობის მართვის სხვა აქტუალურ საკითხებში. მა-  
თი განხორციელების საქმეში პრაქტიკულ დახმარებას უწევენ სკოლებ-  
სა და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებებს;

2. 4. ამზადებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო გეგ-  
მების პროექტებს. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიე-  
რებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტისა და მასწავლებელთა დახე-  
ლოვნების ცენტრალურ ინსტიტუტთან ერთად შეიმუშავებენ, თარგმნით  
და სრულყოფენ უნიფიცირებულ და ორიგინალურ სასწავლო პროგრა-  
მებს.

სისტემატიურ და გეგმაზომიერ მუშაობას წარმართავენ სასწავლო  
დისციპლინათა სწავლების გასაუმჯობესებლად, სკოლებისათვის საჭირო  
12

მეთოდური რეკომენდაციებისა და მითითებების შემუშავებისა და მათ  
პრაქტიკაში გამოყენებისათვის.

თარგმნიან, შეიმუშავებენ და სრულყოფენ გაღრმავებული სწავლუადა  
ბისა და ფაკულტატიურ მეცადინეობათა უნიფიცირებულ და ორგანიზაციურ  
ლურ სასწავლო პროგრამებს.

ადგნერ სასწავლო გეგმებს რიგი საგნების გაღრმავებული სწავლების სკოლებშისათვის.

2. 5. სისტემატურ კონტროლს ახორციელებენ რაიონებსა და ქა-  
ლაქებში წვევამდელ ახალგაზრდებთან რესული ენის შემსწავლელი  
წრებისა და ფაკულტატივების მუშაობაზე, უწევენ მათ სათანადო ორ-  
განიზაციულ და მეთოდურ დახმარებას;

2. 6. სასწავლო პრაქტიკაში ნერგავენ სასწავლო-აღმზრდელობითი  
პროცესის უკეთ ორგანიზებისა და ცალკეული სასწავლო დისციპლინების  
სწავლების მეთოდიკის საკითხებზე სსრ კავშირისა და საქართველოს  
სსრ განათლების სამინისტროების სახელმძღვანელო დოკუმენტების,  
რესუბლიკურ პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინს-  
ტიტუტის, აგრეთვე ცალკეულ აკტორთა (ავტორთა კოლექტივების) მი-  
ერ შექმნილ და მოწოდებულ მეთოდურ ლიტერატურას და სხვა დამტკა-  
რე სასწავლო მასალას;

2. 7 საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასწავლო კი-  
ნოსა და ტელეგადაცემათა რესპუბლიკურ მეთოდურ გაბინეტიან ერთად  
ადგენტი ტელეგადაცემათა პროგრამას, ამზადებენ მასწავლებლებს (ლექ्च-  
ტორებს) ტელეგადაცემისათვის, ისმენენ და აანალიზებენ ტელეგადა-  
ცემებს, მინაწილეობენ ტელეგავეთილების სცენარის შედგენასა და რე-  
ცენზირებაში, კინო, ფონო და ღიამასალების კომპლექტების მომზადე-  
ბასა და მათი გამოყენების მეთოდებისა და ხერხების შემუშავებაში.  
იკვლევნ სკოლების მიერ სასწავლო ტელეგადაცემათა სწავლებაში  
გამოყენების საკითხს, ახორციელებენ მისი შემდგომი სრულყოფის ღო-  
ნისძიებებს;

2. 8. ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა  
სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან, მასწავლებელთა დახელოვნების  
ცენტრიალურ ინსტიტუტსა და განათლების სამინისტროს სასწავლო კი-  
ნოსა და ტელეგადაცემათა რესპუბლიკურ მეთოდურ გაბინეტთან ერთად,  
მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად, შე-  
იმუშავებენ მეთოდურ რეკომენდაციებს სწავლების პროცესში ტექნი-  
კურ საშუალებათა გამოყენებისა და სასწავლო კაბინეტების აღჭურვა-  
გაფორმების თაობაზე; შეისწავლიან სწავლების ტექნიკურ საშუალებას,  
სასწავლო თვალსაჩინოებათა და დიდაქტიკურ-საინფორმაციო მასალათა  
გამოყენების მდგომარეობას და საჭირო მეთოდურ დახმარებას აღმო-  
უჩნენ სკოლებს მათ გამოყენებაში;

2. 9. სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს უწევენ მე-  
თოდური და ორგანიზაციული ხასიათის დახმარებას ზოგადსაგანმანათ-

ლეგბლო სკოლებში შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფესიუნტა-  
ციული მუშაობის სრულყოფის, 19—X კლასებში გაღრმავებული შტო-  
მითი სწავლების ორგანიზაციის, სასკოლათამირისო კომისიატების და  
სასწავლო საამქროების შექმნისა და მათი მუშაობის სრულყოფის დაწე-  
მეში.

შეისწავლიან და განაშოგადებენ ამ მიმართებით ჩატურებული მუ-  
შაობის დადებით გამოცდილებას.

2. 10. წარმართავენ გეგმაშომიერ და სისტემატურ საქმიანობას  
რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლითა საზო-  
გადოებრივი კვების ორგანიზაციის გაუმჯობესების, სასკოლო სასადი-  
ლოებისა და ბუფეტების ქსელის გაფართოების და მატერიალურ-ტექ-  
ნიკური ბაზის განმტკიცებისათვის;

2. 11. საჭირო მეთოდურ დახმარებას უწევენ ვ. კომაროვის სახე-  
ლობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლა-ინტერნატს და ექს-  
პერიმეტრულ სკოლებს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სწორალ  
ორგანიზების საქმეში, მათი მუშაობის შინაარსიდან გამომდინარე სა-  
თანადო მეთოდური და სასწავლო-დიდაქტიკური მასალების შემუშავე-  
ბაში;

2. 12. სისტემატურად შეისწავლიან სასკოლო ინტერნაციების, გა-  
ხანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების მუშაობის მდგომა-  
რეობას, საჭირო მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას უწევენ ამ ტი-  
პის დაწესებულებებს მოსწავლითა არასასწავლო დროის რაცონალუ-  
რად და მიზნობრივად გამოყენების, კვების ორგანიზაციისა და საყო-  
ფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეში.

### III. მეთოდური ცენტრის სტრუქტურა

3. 1. მეთოდურ ცენტრს ყავს ღირექტორი, ღირექტორის მოად-  
ვილები — ჰუმანიტარული ციკლის, საგნების სწავლების დარგში, სა-  
ბუნებისმეტყველო-მათემატიკური ციკლის საგნების სწავლების დარგ-  
ში და ადმინისტრაციულ-სამეცნიერო ნაწილში.

3. 2. მეთოდური ცენტრის შემადგენლობაში შედის ქართული ენი-  
სა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, დაწყებითი  
განათლების, ჰუმანიტარული ციკლის საგნების, საბუნებისმეტყველო-  
მათემატიკური ციკლის საგნების, შრომითი სწავლების, პროფესიელი  
ორიენტაციის, სკოლათმცოდნეობის, სასკოლო კვებისა და საყოთო  
განყოფილებები, ბიბლიოთეკა და ბუღალტერია.

3. 3. მეთოდური ცენტრის სტრუქტურას და შტატების რაოდენ-  
ბას ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

### IV. მეთოდური ცენტრის მუშაკთა უფლება-მოვალეობანი

4. 1. ღირექტორი ხელმძღვანელობს მეთოდური ცენტრის მთავ-  
რა საქმიანობას, იგი ახორციელებს ღონისძიებებს საჭირო მატერიალურ-  
ტექნიკური ბაზით მეთოდური ცენტრის უზრუნველყოფისათვის; უქმნის

თანამშრომლებს მუშაობის ნორმალურ პირობებს; ზრუნავს მაღალგვა-  
ლიფიციური კადრებით მეთოდური ცენტრის დაკომპლექტებისათვის,  
შეარჩევს და დასამტკიცებლად წარუდგენს განათლების სამინისტროს უ-  
ცნობის განყოფილებათა გამგეებისა და მეთოდისტების კანდიდატებს,  
მეთოდურ ცენტრში უზრუნველყოფს მუშაკთა შრომის მაღალ ნაყო-  
ფირებას, საცულმწიფო და შრომითი ღისციპლინის დაცვას, კომუნის-  
ტური შეგნებულობის ატმოსფეროს.

დირექტორი განაგებს ცენტრის მეთოდური საბჭოს საქმიანობას,  
სამეცნიერო დაწესებულებებსა და უმაღლეს სასწავლებლებთან ცენტ-  
რის ურთიერთკავშირს, თანამშრომელთა მივლინებებს, ფინანსებს.

დირექტორი მეთოდური ცენტრის საქმიანობაზე უშუალოდ პასუ-  
ხისმგებელია განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს წი-  
ნაშე.

4. 2. დირექტორის მოადგილები ჰემანიტარული და საბუნების-  
მეტყველო-მათემატიკური ციკლის საგნების სწავლების დარგში ხელ-  
მძღვანელობენ შესაბამის განყოფილებათა საქმიანობას, განიხილავენ  
და დასამტკიცებლად წარუდგენ დირექტორს განყოფილებათა სამუ-  
შაო გეგმებს, პერიოდულად ამოწმებენ გეგმით გათვალისწინებული სა-  
კითხების შესრულების მდგრამარეობას და იღებენ ოპერატიოულ ზომებს  
მათი ღრიულად შესრულებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესები-  
სათვის; ზრუნავენ განყოფილებათა გამგეებისა და მეთოდისტთა  
იდეურ-პოლიტიკური, თეორიული და პედაგოგიურ-მეთოდური დონის  
ამაღლებისათვის. აწესრიგებენ განყოფილებათა მუშაკების სამივლინე-  
ბო საქმიონობას.

მოადგილები შესაბამის განყოფილებათა საქმიანობაზე უშუალოდ  
პასუხისმგებელი არიან მეთოდური ცენტრის ღირებულების წინაშე.

4. 3. განყოფილებებს ხელმძღვანელობენ გამგეები, რომლებიც  
მუშაობენ წლიური და კვარტალური გეგმების საფუძველზე.

განყოფილების გამგე გალდებულია სწორად განსაზღვროს განყო-  
ფილების მეთოდისტთა ფუნქციები და უზრუნველყოს განყოფილების  
წინაშე დასახული ამოცანების, პირადად მასზე და მეთოდისტებზე და-  
კისრ შელი მოვალეობის შესრულება.

განყოფილების გამგე უშუალოდ პასუხისმგებელია საქმიანობაზე  
დირექტორისა და დირექტორის. შესაბამისი მოადგილის წინაშე.

განყოფილების გამგეს ნიშნავს რესპუბლიკის განათლების სამი-  
ნისტრო სკოლების სამმართველოს უფროსისა და მეთოდური ცენტრის  
დირექტორის წარდგინების საფუძველზე.

4. 4. მეთოდური ცენტრის განყოფილებებში მუშაობენ შესაბამისი  
სპეციალობებისა და გამოცდილების მქონე მეთოდისტები.

მეთოდისტს ევალება, განყოფილების წინაშე დასახული ამოცანე-  
ბირა გამომდინარე, თავისი საქმიანობით ყოველმხრივ შეუწყოს ხელი  
რეპუბლიკის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულ-

ყოფას და სწავლების ხარისხის ამაღლებას; აქტიური მონაწილეობა მი-  
იღოს ცალკეული სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგრმარეობის  
გაუმჯობესების მიზნით თანამედროვე მეთოდებისა და ხერხების ფარ-  
თოდ დანერგვაში, მოწინავე გამოცდილების განზოგადებას და საპი-  
რო სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის მომზადებაში.

მეთოდისტს ნიშნავს მეთოდური ცენტრის დირექტორი სკოლების  
სამმართველოსთან შეთანხმებით.

მეთოდისტს უნდა ქონდეს უმაღლესი განათლება და პედაგოგიუ-  
რი მუშაობის არანაკლებ 5 წლის სტაჟი.

4. 5. ბიბლიოთეკარი დებულობს ზომებს მეთოდური ცენტრის  
ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით გამოიდრებისათვის. აქტოს თემატურ  
და მუდმივ გამოფენებს, სტენდებს. ეწევა ახალი მეთოდური და პედა-  
გოგიური ლიტერატურის პროგანდას, პერიოდულად ახარებს შეხვე-  
დობებს ავტორებთან, ახალი წიგნების განხილვას, სემინარებს.

ბიბლიოთეკარი მუშაობს აქტივურ დაყრდნობით. იგი ანგარიშვალ-  
დებულია მეთოდური ცენტრის დირექტორის წინაშე.

მეთოდური ცენტრის მუშავთა უფლება-მოვალეობაზე განისაზღვ-  
რება სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1978 წლის 20 თებერ-  
ვლის ბრძანებით დამტკიცებული „განათლების დაწესებულებათა ხელ-  
მძღვანელი და პედაგოგიური მუშაკების თანამდებობათა საკალიფიკა-  
ციონ დახასიათებით“ და ამ დებულებით.

#### V. მეთოდური საბჭო

5. 1. რესპუბლიკურ მეთოდურ ცენტრთან სათათბირო ორგანოს  
უფლებით იქმნება მეთოდური საბჭო, რომლის შემაღებელობაში შედიან:  
ცენტრის დირექტორი (თავმჯდომარე), დირექტორის მოადილები,  
განყოფილებათა გამგები, მეთოდისტები, საქართველოს სსრ განათ-  
ლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეც-  
ნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, რესპუბლიკის უმაღ-  
ლესი სასწავლებლების, მასწავლებლებთა დახელოვნების ცენტრალური  
ინსტიტუტის, სახალხო განათლების განყოფილებების, მეთოდური კა-  
ბინეტების წარმომადგენლები, მასწავლებლები, სკოლის ხელმისაწვანე-  
ლები.

5. 2. მეთოდური საბჭო განიხილავს ცენტრის განყოფილების  
სამუშაო გეგმებს, ისმენს განყოფილებების გამგების ანგარიშებს გა-  
წეული მუშაობის შესახებ, მსჯელობს მეთოდური მუშაობის სრულყო-  
ფის, მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადების, ცალკეუ-  
ლი სასწავლო დისციპლინების სწავლების მდგრმარეობის გაუმჯობესე-  
ბის საკითხებზე.

5. 3. მეთოდური საბჭოს შემაღენლობას ამტკიცებს განათლების  
სამინისტრო.

5. 4. საბჭოს ყავს მღივანი, რომელსაც ყოველწლიურად ირჩევს  
მეთოდური საბჭო.

სამართლებრივი სახელმწიფო მინისტრი

#### VI. მატერიალური ბაზა, სახსრები და მუშაობის აღრიცხვა

6. 1. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდური ცენტრი იმყოფება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბიუ-  
ჯეტზე.

კრედიტების განვითარებულები, დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგ-  
ლებში, არის რესპუბლიკის მეთოდური ცენტრის დირექტორი.

6. 2. რესპუბლიკის მეთოდურ ცენტრს აქვს ცალკე შენობა.

6. 3. მეთოდური ცენტრის შენობის მოვლა, სასწავლო-ტექნიკური საშუალებებისა და სხვა სახის ინვენტარის აღრიცხვა, შენახვა და დაცვა  
ეფუძნება დირექტორის მოადგილეს აღმინისტრაციულ-სამეურნეო დარგ-  
ში.

6. 4. მეთოდური ცენტრის მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარი-  
ზაციას ატარებს დირექტორის ბრძანებით გამოყოფილი საინვენტარო  
კომისია ყოველი წლის ოქტომბერში.

6. 5. რესპუბლიკურ მეთოდურ ცენტრს აქვს საქართველოს სსრ გა-  
ნათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვა.

6. 6. რესპუბლიკურ მეთოდურ ცენტრს აქვს საქმისწარმოება და  
არქივი.


6. 7. მეთოდური ცენტრის ხელმძღვანელობა ჩატარებული მუშაო-  
ბის შესახებ ანგარიშს უდევს საქართველოს სსრ განათლების სამინის-  
ტროს სკოლების სამმართველოს.

6. 8. რესპუბლიკური მეთოდური ცენტრი სარგებლობს იურიდიუ-  
ლი პირის უფლებით, არის დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი საბიუჯე-  
ტო ორგანიზაცია, აქვს საკუთარი შტამპი და გერბიანი ბეჭედი.

მინისტრის მოადგილე მ. კოგახიძე

სკოლების სამმართველოს უფროსი პ. სუაშვილი

მთავარი იურისკონსულტი ვ. კევალავა



# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1982 წლის 22 თებერვლის გადაფყვატილება

რესპუბლიკური თათბირ-სემინარის ჩატარების შესახებ თემაზე  
„გაღრმავებული შრომითი სწავლების პირველი შედეგები და  
მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი სკკ 26-ე ყრილობის  
მიერ სახალხო ორგანოების წინაშე დასახული ამოცანების  
შექმენება“

კოლეგია აღნიშნავს, რომ სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1977 წლის 22 დეკემბრის № 1111-დაღვენილებისა და შესაბამისად საქართველოს კომარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დაღვენილების „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფის შესახებ“ შე-სასრულებლად, სახალხო განათლების ორგანოებმა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა პარტიული, საბჭოთა, პროფესიული ინსტიტუტების დაწმარებით საბაზო, საწარმოო დაწესებულებებთან ერთად მნიშვნელოვანი მუშაობა გაწიეს.

ამასთან, მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის საქმეში არსებობს ნაკლოვანებები, რომელთა აღმოჩევასა და გაღალაშირისათვის სერიოზული მიზანმიმართული მუშაობა უნდა ჩატარდეს.

განათლების სამინისტროს კოლეგიას საჭიროდ მიაჩნია გაღრმავებული შრომითი სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის ანალიზი გაუკეთდეს ამ დარგში გაწეულ მუშაობას და დაი-სახოს კონკრეტული გზები. ამ მიზნით კოლეგიამ

გადაწყვიტა:

1. 1982 წლის 19 აპრილს ჩატარდეს რესპუბლიკური თათბირ-სემინარი თემაზე „გაღრმავებული შრომითი სწავლების პირველი შედეგები და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი სკკ 26-ე ყრილობის მიერ სახალხო განათლების წინაშე დასახული ამოცანების შექმენება“.

ძირითადი მომსხვებელი ამხ. მ. კობაშიძე — მინისტრის მოადგილე.

2. დამტკიცდეს რესპუბლიკური თათბირ-სემინარის საორგანიზაციო კომიტეტი შემდგევი შემაღლებლობით:

მ. კობაშიძე — მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარე)

პ. სუჯაშვილი — სკოლების სამმართველოს უფროსი

თ. ტატიშვილი — სკოლების სამმართველოს მთავარი ინსპექტორი

ი. ანდრიაშვილი — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმენებლობის კათედრის პროფესიონი

რ. კილაძე — ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომისა და პროფორიენტაცი-

ის სექტორის გამგე

3. როგავა — განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მეცნიერებულის დირექტორი
4. დევდარიანი — განათლების სამინისტროს ინსპექტორი
5. ჩახვაშვილი — მასწავლებელთა დახველოვნების ცენტრალური ინსტიტუტის შრომითი სწავლების კაბინეტის გამგე
6. ტონია — განათლების სამინისტროს ინსპექტორი
7. თაბიძე-სემინარის მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ აფხაზე-თისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა; ს/ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა, შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორგანიზაციის სასკოლო ინსპექტორმა, მასწავლებელთა დახველოვნების ინსტიტუტების მეთოდისტებმა, მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორგანიზაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საჭარბო კომინისტების ღირებული მინარების დირექტორებმა
- (სულ — 300 კაცი).
8. დამტკიცდეს სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი თაბიძე-სემინარის მომზადებისა, და ჩატარების სამუშაო გეგმა (დანართი № 1).
9. მოწოდებულ იქნას სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებათა სარეკომენდაციო თემატიკა (დანართი № 2).
10. დაევალოს საორგანიზაციო კომიტეტს:
- a) ერთი თვის განმავლობაში გადასინჯეოს სკოლების სამმართველოში წარმოდგენილი მოხსენებები, შეარჩიოს მათში განსაკუთრებით აქტუალური და მნიშვნელოვანი შინაარსის შემცველი მოხსენებები და დამტკიცოს მომხსენებელთა საბოლოო შემადგენლობა.
11. თაბიძე-სემინარზე მოეწყოს ჩემადგენი სამუშაოების შოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საუკეთესო თვითნაკეთი მასალების გამოყენა.
12. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) გაკრიტიკოს საჭირო სახსრები თაბიძე-სემინარის ჩატარებისათვის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით.
13. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი) დააწესოს კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულების მიმღინარეობაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე,  
შინისტრი მ. გინედაძე



**სასამართლის თათვის-ცენტრის მომსახურის  
და ჩატარების პრეზი**

თათვის-ცენტრის ჩატარების აღკვლევა:  
კომისარების სახელობის ფინანს-მთავრობის  
სკოლა-ინფრასტრუქტურის სააქტო და მასში  
ჩატარების თარიღი — 19 აპრილი 1982 წელი, 11 საათი

სამართლის  
მინისტრის  
მიმმართებელი

	უსამართლებრივი სექტენი	შესრულების ეტაპი	მიმმართებელი შესრულებაში	უკიდისი
1	2	3	4	5
1.	თათვის-ცენტრის მოსახლეების აუმჯობესებისა და მომსახულოს შემცირების შემთხვევა	მიმდინარეობის 10-15 წ.	ა. ტატარები ბ. დედამიწის გ. ტონის დ. ტატარები ე. დედამიწის ფ. ტონის	
2.	თათვის-ცენტრის გამოსაცვლის მოსახლეების გამოცვა	მიმდინარეობის 20-23 წ.	ა. ტატარები ბ. დედამიწის გ. ტონის დ. ტატარები ე. დედამიწის ფ. ტონის	
3.	მართლიანი მოსახლეობის მიმმართების შეკრივნებისა და მიმდინარეობის მიმმართების თარიღის შემცირების შემთხვევა	მიმდინარეობის	ა. დედამიწის ბ. ტონის გ. ტატარები დ. დედამიწის ე. ტონის ფ. ტატარები გ. დედამიწის დ. ტონის	
4.	თათვის-ცენტრის მოსახლეების პირობის დასაცავის დამატებითი დასაცავის თარიღის შემცირების შემთხვევა	მიმდინარეობის 10-15 წ.	ა. დედამიწის ბ. ტონის გ. ტატარები დ. დედამიწის ე. ტონის	
5.	თათვის-ცენტრის მოსახლეობის გამოცვლილობის მიმმართების გამოცვლილობის თარიღის შემცირების თარიღის შემთხვევა	მიმდინარეობის	ა. დედამიწის ბ. ტონის გ. ტატარები დ. დედამიწის ე. ტონის	
6.	თათვის-ცენტრის მიმმართების მიმმართების დამატებითი დასაცავის დამატებითი დასაცავის თარიღის შემცირების თარიღის შემთხვევა	15 მარტი	ა. დობორევის ბ. ტატარები	
7.	აუზოდების დამატებითი და მინიჭილების დაზიანების თარიღის შემცირების თარიღის შემთხვევა	17 მარტი	ა. ტატარები	
8.	თათვის-ცენტრის მიმმართების მიმმართების დამატებითი დასაცავის დამატებითი დასაცავის თარიღის შემცირების თარიღის შემთხვევა	10 მარტი	ა. დედამიწის ბ. ტონის	
9.	კატეგორიული მიმმართების მიმმართების მიმმართების გამოცვლის მიმმართების მიმმართების თარიღის შემთხვევა	18 მარტი	ა. დედამიწის ბ. ტონის	

1	2	3	4
10.	გარემოებული შრომითი სწავლების ღიაგრძელების მომ- ხდება	10 არაღი	1. ღობისტენის 2. მანევრებელი
11.	თათბირ-სემინარები და სხვადასახლები ჩეკისტთა ინსტან- ციები	10 არაღი	1. ღობისტენი 2. ტონის
12.	ფარგლები პოლიციური ღონისძიებებისთვის (ჩეკისტთა უ- ძაბ, სამართლებრივი და სხვ)	10 არაღი	3. ღობისტენი 4. მანევრებელი
13.	პარტიული შემსრულებელი განსაზღვრა და მისი მო- წვევის ინგისტისური	10 არაღი	5. სერვისები 6. ტრაქტორი
14.	თათბირ-სემინარის მონაწილეობის მეოთხეული ღია- რებულის შეჩერება და გადაკვების ინგისტისური	1-19 არაღი	7. ღობისტენი 8. ტონის
15.	ტელევიზიონის და პრესის მუშავების მოწვევის ინგისტი- სურა	15 არაღი	9. ღობისტენი 10. მანევრებელი
16.	თათბირ-სემინარის მასალების გაშექვება გაზეო ასახა- ლი განათლებაში	20-25 არაღი	11. შეკლის 12. ტატიომჭალი

**რესპუბლიკურ თათბირ სემინარზე განსახილველ  
მოხსენებათა თემატიკა**

1. ადგილობრივი სახალხო განათლების განყოფილებათა მუშაობის ორგანიზაცია გაღრმავებული შრომითი სწავლებისა და აღზრდის საქმეში.
2. საბაზო საწარმოთა (ორგანიზაციათა) დახმარება სკოლებს.
3. სახალხო განათლების განყოფილების როლი და ამოცანები ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებისა და საბაზო საწარმოების (ორგანიზაციების) ერთობლივი მუშაობის საქმეში.
4. სახალხო განათლების განყოფილების მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სასწავლო სახელოსნოების მატერიალურ-ტექ-ნიკური ბაზის სრულყოფის საქმეში.
5. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ერთობლივი მუშაობის გამოცდილებიდან.
6. მოსწავლეთა სასწავლო-საწარმოო შრომითი ბრიგადების მუშაო-ბის ორგანიზაცია.
7. ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების როლი საშუალო სკო-ლებში გაღრმავებული შრომითი სწავლებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სრულყოფის საქმეში.
8. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და საბაზო საწარმოს ერთობ-ლივი მუშაობის გამოცდილებიდან.
9. მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლებისა და პროფესიული ორი-ენტაციის თაობაზე მიღებული საკანონმდებლო დადგენილების შესრულების მიმღინარეობის შემოწმების საკითხები.
10. სახალხო განათლების განყოფილების მუშაობა ზოგადსაგანმანათ-ლებლო სკოლის მოსწავლეთა აღზრდის, სწავლების, შრომისათვის მათი მომზადების შემდგომი სრულყოფისა და კურსდამთავრებულ-თა შრომითი მოწყობისა და ახალგაზრდობის სოფლად დამაგრების საქმეში.
11. მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმო კომბინატის მუშაობა უფ-როსკოლასელთა შრომითი აღზრდის, სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის და მათი მწარმოებლური შრომაში ჩაბმის საქმეში.
12. შემდგომი ორგანოების დადგენილებებითა და საბაზო საწარმოს (ორგანიზაციის) დებულებით გათვალისწინებული დავალებების შესრულება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა აღზრ-

- ლის, სწავლებისა და შრომისათვის მათი მომზადების შემდგომის  
სრულყოფის მიზნით.
13. სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობა მოსწავლითა  
საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომისათვის მომზადების გასაუმი-  
ჯობესებლად.
14. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური  
განათლების სისტემის სასწავლებლების ერთობლივი მუშაობის ამო-  
ცანები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
1982 წლის 3 მარტის ბრძანება № 203



მოსწავლეთა შრომითი სწავლებისა და პროფესიული ორიენტაციის  
სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომინატების  
მუშაობის შემოწმების შედეგებისა და გაუმჯობესების  
ღონისძიებათა შესახებ

გაეცანი რა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ  
ქ. ქ. ქუთაისის, გორის, გურჯაანის, ზუგდიდის, სიღნალის, თერჯოლის,  
წალკისა და ჩიხატაურის რაიონების მოსწავლეთა შრომითი სწავლე-  
ბისა და პროფესიული ორიენტაციის სასკოლათაშორისო სასწავლო-სა-  
წარმოო კომინატების შემოწმებისა და განთლების სამინისტროში არ-  
სებულ მასალებს, აღვნიშნავ, რომ თითქმის ყველა შემოწმებული სას-  
წავლო-საწარმოო კომინატის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ჯერ კიდევ  
არ შეესაბამება თანამდებროვე მოთხოვნებს, მათში შემოღებული პრო-  
ფილები სრულყოფილად ვერ პასუხობენ მუშათა კადრებზე აღგილობრივ  
მოთხოვნებს. ვორის, სიღნალის, გურჯაანისა და ზოგიერთი სხვა რაიო-  
ნის სასწავლო-საწარმოო კომინატები მოთავსებულია მცენ, უვარესის,  
შეუფერებელ შენობებში, მოწყობილი არაა მოსწავლეთა პროფესიული  
ორიენტაციის კაბინეტი, სასწავლო ჯგუფების მოსწავლებით დაკომ-  
პლექტებისას არ ითვალისწინებენ დებულებაში მოცემულ ნორმებს.

